

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სავალოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дрoвъа“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ. 50კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.

დროება

ბამოღის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რედაქცია-სტრიქონებისა ითვლება მათგან დაქვრილის ადგილის გვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გააქვრებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოკვეთილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и западныхъ провинцій принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Петцль, Москва, Петровка, № 6.

შემდეგი ნომერი „დროებისა“ ბამოვა შაბათს მაისის 4-ს.

„დროების“ ფასი მაისის პირველიდან წლის დამლევამდე 7 მანათი; სოფლის მასწავლებელთათვის 5 მანათი.

ქენისა ნინო გრიგოლის ასული, ალექსანდრე და ნიკოლოზ სოლომო-ნის-ქენი ღვინისიკები გულისათვის მწესნარებით აწუქებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ქმრის და მეორეის მამის
თავადის სოლომონ ბაბრიალის-ძის ლეონიძის
გარდაცვალებას და სთხოვენ მოძმანდენ მაისის 1-ს, დღის 11-ს და საღამოს 6¹/₂ საათზედ, შანაშაიდედ გადაკისის პრასპექტზედ თ-დი მუსრან-ბატონის სახლში და მაისის 2-ს დღის 9 საათზედ მიცვალებულის გასვენებაზედ ქვამკეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (2-2)

ქართლ-კახეთის თავდაზნაურობას წერილი რედაქციისადმი

ამ ჟამად თბილისში შეკრებილია თავდაზნაურობა ძართლ-კახეთის ყველა კუთხეებიდან. აქ ნახვით ქართლოს, კახლოს, იმერელსა-კი. სასიამოვნო სანახავს წარმოადგენს ქალაქი, სადაც თქვენ ჰხედავთ ყურთ-მაჯ-გადაგდებულს თავადს, ჩერქეზულად გამოკვანწლოვლ აზნაურშვილს. მათი გარეგანი შეხედულობა ჟამთა-მსვლელობის გავლენით შეცვლილია. თქვენ ჰხედავთ, რომ ეს ჩვენი ძველებური თავადი არ არის, თუმცა მგზავსება ბევრია და ამასთანავე გწამთ, რომ მას ყოველთვის შეეძლება გამოიჩინოს და განახორციელოს თავის მამა-პაპათა საუკეთესო თვისება. თუ მის შინაგანს არსებას ვასინჯავთ, დარწმუნდებით, რომ მას თავში საუკეთესო აზრები უბრწყინავს, გულში ამაღლებულნი გრძნობანი უღელავს...

ამას აშკარად ვვარწმუნებენ ჩვენი თავდაზნაურობის კრებები. ამ კრებებზე ჩვენი თავდაზნაურობა იჩენს საკმარისს გამჭირახობას, წინ-მსვლელობას, გრძნობის სიმალღეს. იგი აღგენს ისეთს გონიერულს გარდაწყვეტილებათ, რომ შემდეგში სინა-ნული აღარა გვეკრება.

არც ბანკში მოსამსახურე პირების ამორჩევაში გამოუჩენია კრებებს მოუსაზრებლობა. იქნება აქ ვცდებოდდე; იქნება შენც, მკითხველო, დასწრებიანარ ამ კრებებზედ და სულ სხვა შთაბეჭდილება გამოგიტანია იქილამ; ეგ შესაძლებელია. ხომ მოგვხსენებთ, რომ ერთი და იგივე მოვლენა ორ სხვა-და-სხვა საგანზე სრულიად სხვა-და-სხვა გავლენას სახავს. მე აქ მოგახსენებთ ჩემს პირად შთაბეჭდი-

ლებაზე და ვიმეორებ კიდევ, რომ ბანკის კრებების შესახებ თავდაზნაურობას ბევრს ვერას ვუსაყვედურებთ.

მაგრამ არის მეორე საგანი, რომელსაც ჩვენ გულ-გრილად ვეკიდებით. მე ვამბობ თბილისის გუბერნიის თავდაზნაურობის წინამძღოლის ამორჩევაზედ. ღღემდის არც ერთი უფლებით არ გვისარგებლია ისე წინ-დაუხედავად, როგორც ამ ამორჩევის უფლებით ვსარგებლობდით. შოველ სხვა საქმეში ჩვენ ვიჩენდით ცოტას თუ ბევრს გონების გამჭირახობას. შეველა სხვა ჩვენგან ამორჩეული მოსამსახურე პირს ანგარიშს ესთხოვდით თავის მოქმედებაში, და თუ იგი ვერ გვაკმაყოფილებდა—ვეცოლიდით. აქ კი ამ მოსაზრებამ გვიმტყუნა, თუმცა აშკარად კი ვხედავდით, რომ საქმე არსადა სჩანდა. როდემდის უნდა დარჩეს საქმე ამ მდგომარეობაში? როდის უნდა განვხორციელოთ ის დიდ-მნიშვნელოვანი დანიშნულება თავდაზნაურობისა, რომელიც ისე ნათლად იყო გამოხატული უზენაესს რესკრიპტში. აი რას ვკითხულობთ აქ:

„Для пользы государства признаемъ за благо, чтобы російскіе дворяне и ныне, какъ и въ прежнее время, сохранили первое мѣсто въ предводительствѣ ратномъ, въ дѣлахъ мѣстнаго управленія и суда, въ безкорыстномъ попеченіи о нуждахъ народа.“

შველა ამის შესრულება შეგვეძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ გვეყოლება თანამდებობის შესაფერი წინამძღოლი. მაშ მოვიძებნოთ ამ გვარი კაცი. ბევრჯერ ამდენი ძილი. ჩვენ კარს ბევრი და მძიმე საქმეები გვადგია. ამათის ასრულებისთვის გონიერი და გამოცდილი კაცი გვეჭირია. ის უნდა იყოს კარგი მემამულე, რომ შეეძლოს გაიგოს რასში მდგომარეობს ჩვენი საწ-

ალი თავდაზნაურობის გაქირება; უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი, რომ შეეძლოს თავისუფალი მოქმედება; უნდა ჰქონდეს რაიმე შესანიშნავი ისტორიული წარსული; უნდა იყოს მიღებული და ცნობილი უმაღლესს წრეებში, რომ მდაბალმა ხარისხის მოხელეებმა ველარ გაბედონ თავდაზნაურობით სების შეურაცხება. მისაც ეს თვისებანი არა გაქვთ, ამ საქმეს ნულარ ჰკიდებთ ხელს.

მერე ვინ ამოვიჩიოთ? მინ ვიპოვნოთ იმისთანა, რომ შეეძლოს ამისთანა პირობების შესრულება, და კმაყოფილება? მე ჩემის მხრივ ვამბობ, რომ ამ ჟამად საუკეთესო საწინამძღოლო კაცი არის თავადი ივანე ქონსტანტინეს-ძე მუხრან-ბატონი.

პარილის 30-ს. რ. ჯ—ი

მესამე და უკანასკნელი სხდომა ბანკის წლიური კრებისა

მესამე დღეს, ორშაბათს, საზოგადო კრებამ მოისმინა ერთი მეორეზედ ხუთი მოხსენება ბანკის გამგეობისა და ამოიჩინა ყველა თანამდებობის პირნი, რიგისამებრ ამოსარჩენნი.

პირველი მოხსენება შეეხებოდა მომავალი საანგარიშო წლის გასაგაღს. ბანკის გამგეობას საჭიროდ დაუნახავს, ბანკის ოპერაციების გავრცელების გამო, ოთხსა-ხუთას თუმნამდე ხარჯი მოემატებინა. წელიწადში 480 მანათი ბუჰალტერის თანაშემწისათვის; 1,000 მანათზე მეტი გირავნობის ფურცლებისა და კუპონების გაგზავნა-გამოგზავნისათვის, პეტერბურგში საადგილ-მამულო ბანკების კომიტეტის შესანახავი ხარჯი, ვადა-გასული გირავნობის ფურცლების ხარჯი, ბანკის გამგეობის წევრების სამგზავრო ხარჯი და სხვ.

ძრებამ ერთხმად დაამტკიცა ეს ანგარიში. მეორე მოხსენება შეეხებოდა ქალაქს ბათუმს. ორმოც-და-ათამდე ბათუმის მცხოვრებთ ეთხოვნათ, რომ ბანკს თავის წესდება შეეცვალა და ბანკის მოქმედება ამ ქალაქზედაც გავრცელებინა. ბანკის გამგეობამ აუხსენა კრებას, რომ ბათუმს ამ ჟამადაც დიდი მნიშვნელობა აქვს და მომავალში კიდევ უკეთესობა მოელოს, მაგრამ რადგან ომის დროს ეს ქალაქი შეიძლება საშიშს მდგომარეობაში ჩავარდეს და სახლები ნანგრევებად იქცეს, ამიტომ ეკითხოს მთავრობას და თუ იგი პასუხის-გებას იკისრებს ბათუმის შენობების დაუზიანებლობაში,

მაშინ ეთხოვოს ფინანსთა მინისტრს წესდების შეცვლა და ბათუმზედაც გავრცელება ბანკის მოქმედებისა. ეს მოხსენებაც დაამტკიცა კრებამ.

მესამე მოხსენება იყო ნდობის წერილების (довѣренности) შესახებ. შოველს წევრს, დამფუძნებელი იყოს თუ მესხებელი, ეძლევა უფლება ერთის ნდობის წერილის წარმოდგენისა და ორის ხმის ქონვისა. ნდობის წერილზედ ორს მოწამეს უნდა ეწეროს ხელი და ეს ორნივე უნდა იყვნენ წევრნი ბანკისა, ან კრებაზედ დამსწრენი და ან მათი ხელმოწერილი იყოს შემოწმებული სასოფლო სასამართლოსაგან, პოლიციისა, ან ნოტარიუსისაგან. თუ რამდენსამე მსესხებელს ერთი სესხი აუღლიათ, იმათ უნდა ან ერთს თავიანთგანს მისცენ ნდობის წერილი, ან სხვა წევრს. მამას შეუძლიან თავის სრულ წლოვანს შეიღოს მისცენ ნდობის წერილი და ხმა, ხოლო სხვა არა-წევრს არ შეუძლიან ხმა იქონიოს საზოგადო კრებაში. ნდობის წერილს მხოლოდ მეორე დღეს მიეცემა ხმა წარმოდგინების შემდეგ.

მეოთხე მოხსენებით ბანკის გამგეობა სთხოვდა კრებას ცოტაოდნად შეეცვალა წესი დამფასებლების ამორჩევისა. შამგეობა თუმცა საუკეთესოდ სცნობდა, რომ დამფასებლები გამგეობისა და ზედამხედველის კომიტეტისაგან დანიშნულ იყვნენ, მაგრამ სამძიმოდ მიანდა ამისთანა უფლების ჩამორთმევა ბანკის კრებისაგან და ამიტომ წინადადება შემოიტანა, რომ კომიტეტმა და გამგეობამ ერთი-ორად წარმოადგინონ კანდიდატები და კრებამ აირჩიოს ამ კანდიდატებ შორის დამფასებლები.

შეჯამებულ კომიტეტს ხმის უმეტესობით უარ-ეყო ეს მოხსენება გამგეობისა და ის ემჯობინებინა, რომ უწინდელი წესი დარჩენილიყო.

თ. რეკავს ვახსაქე, (წინამძღოლი სიღნაღის თავდაზნაურობისა). ბანკის კრებისათვის ეგ უფლება, რასაც ეხლა თქვენ ეცილებით, ისეთი უფლებაა, რომლის ჩამორთმევა ჩვენდამი უნდობლობად უნდა ჩავთვალოთ. ნუ თუ ჩვენში თავდაზნაურობა ისე დამცირდა, რომ ველარ მოახერხებს თვის შორის ღირსეულის ამორჩევას. არა, ნუ გვიზამთ შავას, ნუ მოგვისპობთ იმისთანა სახსარს, რომელიც გვეართებს, გვეწოთენის და ერთმანეთის აწონ-დაწონვას გვაჩვენებს. ამ აზრს სხვანიც ბევრნი მიემხრენ. მაგრამ გამგეობამ განმარტა, რომ ეს სრულიად უფლების ჩამორთმევა არ არისო, და კრებამაც მიიღო გამგეობის აზრი.



მეხუთე მოხსენება შეეხებოდა სკოლის საქმეს. სათავედ — აზნა ურო სკოლის კომიტეტმა სთხოვა შემწეობა ბანკს და თუმცა ბანკს შარშან მოგება არა ჰქონდა, მაგრამ სკოლის დაკეტას ის არჩია, რომ ექსტრაორდინარული თაენი დამიეცა ეს შემწეობა. ამ ქამად ექსტრაორდინარული თაენი შეადგენს სულ 14,690 მანათს და გამგებობის აზრი ის იყო, რომ ეს ფული სულ ერთიანად გადასცემოდა სკოლას. ზედამხედველი კომიტეტი კი არჩევდა მხოლოდ 12,000 მანათის გადაცემას და დანარჩენის შენახვას იმ საკურორბათათვის, რისათვისაც ეს თაენი დანიშნულია.

თ. ნ. ჩოლაყაშვილი. მე ვთხოვ ბანკს განმარტოს, ეს სკოლა, რომელსაც სათავედ აზნაურო ჰქვია, მართლა სათავედ აზნაუროა თუ არა? იქ, როგორც შევიტყე, ორი ყმაწვილი დედის თურმე გარეშე მოსიარულედ, რომელნიც თავედ აზნაურობას არ ეკუთვნიან; ამას გარდა, სად მიდის ეს ამოდენა ფული, რატომ არ აგვიხსნიან? რატომ ბანკი ყურადღებას არ აქცევს? მის აბარბ ამოდენა ფულების საქმე? მერე რა ნება გვაქვს, რომ ექსტრაორდინარულს თაენს ხელი ვახლოთ. ეს არის დანიშნული ქვრივობლებისათვის, იმ თავედ აზნაურისათვის, რომელსაც ცეცხლი დასწავს, სეტყვა დასეტყვავს და რა ნება გავქეთ, რომ სკოლას მისცეთ. მე წინააღმდეგი ვარ გამგებობის მოხსენებისა: ექსტრაორდინარული თაენი ექსტრაორდინარულადვე უნდა დარჩეს.

ა. მასხაველი (წვერი გამგებობისა). მე მაკვირებს თ. ნ. ჩოლაყაშვილის ლაპარაკი. რასაც ეხლა ეგ ამბობს, მაგასვე ამბობდენ შარშან, შარშან-წინ, ამ სამი წლის წინად და რომ ამისთანა საყვედური ასცილებოდა სკოლას, ბანკის კრებამ გადასწყვიტა, — ყოველი წვერი დამფუძნებელი ბანკისა იყოს იმავე დროს სკოლის საზოგადოების წევრიცაო. მაშ რალად ამბობს თ. ნ. ჩოლაყაშვილი, რომ არ ვიცით ფული სად მიდისო? რატომ არ მობძანდა, როცა ამ სკოლის კრება იყო? რატომ არ მოისმინა სკოლის ანგარიში, რომელსაც ყოველ წელს კომიტეტი წარუდგენს ხოლმე ამ სკოლის საზოგადო ყრილობას. არავისა არა აქვს ნება საქმის განუხილავად ვისმე საყვედური უთხრას და მით უფრო უთხრას იმისთანა პირებს, რომელნიც უსასყიდლოდა შრომობენ და თაეიანთ ძალ-ღონეს ჩვენ ყველასათვის ძვირფასს საქმეს ანდომებენ. მათ მადლობა ეკუთვნით და არა საყვედური.

„ექსტრაორდინარულს თაენს ხელს ნუ ახლებთო“, ბძანებს, თ. ჩოლაყაშვილი; „ეგ იმისათვის არის დანიშნული, თუ ზარალი მიეცემა თავედ აზნაურობას, უნდა მაგ ფულით შევეწიოთო“. მე არას ვიტყვი თვით სკოლაზედ. იქნება უკეთესი ყოფილიყო. რომ ჯერ თაენი მოგვეგროვებინა და მასუკან ამ თაენის სარგებლით სკოლა შევეცნა. მაგრამ რაკი იგი არსებობს, რაკი ათი-ათას თუმან-

ზედ მეტი ფული დავხარჯეთ, იმის დახურვა — დიდი უბედურება იქნება. ამ უბედურებას ვერ შევედრება ერთი-სა და ორის თავედ აზნაურის „დასეტყვა“, როგორც თ-ლი ჩოლაყაშვილი ბძანებს. თუ ეხლა ფულს არ მისცემთ ამ სკოლას, იგი უნდა უსათუოდ დაიხუროს და, ამით არა თუ ერთი და ორი თავედ აზნაური დასეტყვება, დასეტყვება მთელი საქართველოს თავედ აზნაურობა.

ამავე აზრით ილაპარაკეს თ. ნაპ. ამატუნმა, ალ. ძვალთაშვილმა და სხვათა.

კრებამ ერთ ხმად მიიღო მამგობის აზრი ამ საგანზედ.

ბოლოს დადგა დრო ამორჩევებისა. უნდა ამორჩიათ მამგობის თაემჯდომარის თ. ი. შავკვაძის მაგიერი და მაგიერი დამფასებლის ძ. ლ. შურცელაძისა. „ისეც ის, ისეც ის, უკენ-კოდ, უკენკოდ! ერთხმად, ერთხმად!“ გაისმა ხალხში ხმა და მთელი საზოგადოება ფეხზედ წამოდგა. ზედამხედველის კომიტეტის წევრნიც იგივენი დარჩნენ გარდა თ. შ. მარხნიშვილისა, რომელსაც ბევრი სთხოვა საზოგადოებამ მაგრამ, ქალაქში უმყოფლობის გამო ვერ იკისრა ეს თანამედრობა.

თამეჯდომარე კომიტეტისა პატივცემული თ. ი. ანდრონიკაშვილი დიდს უარზე იდგა. ხალხმა რამდენჯერმე გაუმეორა თხოვნა. წამოდგა ილ. შავკვაძე, მოკლე სიტყვაში გამოსახა მისი ღვაწლი საზოგადოებისათვის და სთხოვა დარჩენილიყო. თ. ი. ანდრონიკაშვილს ამ სიტყვამ ცოტა შეუსუსტა მისი გარდაწყვეტილება. ბოლოს შესძახა თ. ნ. ჩოლაყაშვილი: „უნიჭიერესმა კაცმა უნიჭიერესი სიტყვა გითხრათ და მაინც ვერა ჰქნარა. ჩვენ სიტყვა ველარ მოგვიხერხებია, მაგრამ ამოდენა ხალხი უსიტყვოდ შემოგბლავით და ეცი პატივი ამ ბლავილს მაინც!“.

მხლა კი დამარცხდა თ. ი. ანდრონიკაშვილი და დასთანხმდა თაემჯდომარეობას.

კრება დაიშალა ორს საათზედ.

შინაური ქრონიკა

წუსეღ სადამოს ქაღაქში ჩამოვიდა ქიმიის პროფესორი პეტრე გრიგალის ძე მეღვიშვილი.

როგორც შევიტყეთ, სათავად აზნაურა კრება მისის პირველის მაგივრად, მისის ნ-ს დაიწყო; რადგან სიების შემოწმება ვერ მოუწრიათ. ეს სამწუსრად მიგვანხნია: ბევრნი თავდაზნაურნი კიდევ ჩამოვიდენ თბილისში და მოლოდ აქ შეიტყეს საქმის გადადება. მერე ესლანდელს გაჭირვებულს დროს ვისა აქვს შეძლება თბილისის სსსტუმრებში დიდხანს იგსოვრეს და სოფლის გაცნარებულ მუშაობას თავი დაანებოს!

ამბობენ, მომავალი კრება, თუ არა, რომ კვ-

ურადადებო იქნება. აი, თურმე, სხვათა შორის, რა საგნებზედ იქნება სხვა ა) როგორ დაჩქარდეს გამიჯვნის საქმე; ბ) ნადლეების შესუიღვის საქმე; გ) როგორ უნდა ისარგებლონ დროებით გაღებულიებმა გლეხებმა სამოკრებით; დ) იმვე რატორის ალექსანდრე მეორის სასამართლო წესების შემოღება კავკასიაში ე) სამეურნეო სკოლების გასსნის საქმე საქართველოში ვ) სახელმწიფო საადგილამაჟლო ბანკის მოქმედების გავრცელება თბილისის გუბერნიასუდაც და სხვ.

ამ წინადადებას იმდროინდელი სსსტუმრებისა საზოგადოებისა. ამ სსსტუმრებში ი. ს. ხატისოვა წამოთქვა აზრი, რომ მთავრობისაგან გაღებული საჯრში ფილოქსერასთან საბრძოლველად მონაწილეობა მიიღონ მემამულეთაგან და ეს საჯრი შეიძლება გაიყოს: ა) საჯრი, რომელიც საჭიროა კენსების განსრევის დროს, ბ) საჯრი ფილოქსერისა და კენსების მოსახლობელად და გ) საჯრი, რომელიც საჭიროა დასაკამოფილელებად იმ კენსების სატრონებისა, რომელთაც ზარალი ნახეს მათი ფილოქსერისა კენსების მოსახლობით. კავკასიაში, სადაც ვერ მიწები გაუზომელები არიან, საერა დაწესებულებანი არ არსებობენ და აგრეთვე შემოსავლიდამ საჯრებლის ალება მეტად დიდი საჯრია, დაწესდა მოლოდ რომ კენსების განსრევის დროს სატრონებმა წამოადგინონ საჭირო მუშეთათვისანთ საჯრით და უსასყიდლოდ მისცენ საზოგადოების წევრებს ბინა, როგორც ეს დაწესებულია მიწების გაზომვის დროს. შეიძლება. ხატისოვმა ახსნა, თუ სხვა სახელმწიფოებში როგორ ჰყოფენ ერთმანეთს შორის საზოგადოება და საზინა ფილოქსერასთან ბრძოლის დროს საჭირო საჯრებს. ჩამოვიტოს სხვა-და-სხვა კვარი წესდება ამ საგნის შესახებ უცხო სასემიფოებში და დასძინა, რომ ჩვენში დღემდე ყოველ ნაირს საჯრს ამ საგნისათვის საზინა კისრულადაც და ამ სუთი წლის განმავლობაში 500,000 მან. დასარჯაო. ვინც დაჭკობრება ფილოქსერასთან ბრძოლის მსგეულობას ჩვენში, დარწმუნდება, რომ ყოველწლიური განსავალი ამ საქმისთვის 100,000 მანათს არც მომავალში ადემატება და ფილოქსერის მოსახობისათვის 5—6 წელს მეტი დრო არ დაგვჭირდება. ხატისოვმა სთქვა, რომ კავკასიაში ირიცხება 130,000 დესიატინა კენსი, რომლის შემეტსი ნაწილი ეგუთვნის თავდაზნაურობას, თავისუფალს ყოველ-ნაირის განსასადისაგან; ამიტომ სამართლიანი იქმნება, რომ მათს კენსებს დაეღვას განსაკუთრებული გადასასადი, და რაც შეელება გლეხებისას — მათ გადასადონ მუშაობით (натуральная повинность); რადგანაც აქ კენსებს უჭირავთ 130,000 დესიატინა მიწა და წლიური საჯრი კი ფილოქსერასთან ბრძოლისათვის 100,000 მეტი არ არის, ამიტომ თვითოულ დესიატინას 80 კან. მეტი გადასასადი არ შესვდება, და ეს თავდაზნაურთათვის სამძიმო ტვირთი არ იქნება. დასასრულ ბ. ხატისოვმა კრებას წარუდგინა განსასჯელად სუთი წინადადება:

ა) საჭირო იქმნება თუ არა, რომ კვ-

ნასების სატრონებმა ფილოქსერასთან საბრძოლველ საჯრში მონაწილეობა მიიღონ? — ამ წინადადებას იმდროინდელი სსსტუმრებისა საზოგადოებისა. ამ სსსტუმრებში ი. ს. ხატისოვა წამოთქვა აზრი, რომ მთავრობისაგან გაღებული საჯრში ფილოქსერასთან საბრძოლველად მონაწილეობა მიიღონ მემამულეთაგან და ეს საჯრი შეიძლება გაიყოს: ა) საჯრი, რომელიც საჭიროა კენსების განსრევის დროს, ბ) საჯრი ფილოქსერისა და კენსების მოსახლობელად და გ) საჯრი, რომელიც საჭიროა დასაკამოფილელებად იმ კენსების სატრონებისა, რომელთაც ზარალი ნახეს მათი ფილოქსერისა კენსების მოსახლობით. კავკასიაში, სადაც ვერ მიწები გაუზომელები არიან, საერა დაწესებულებანი არ არსებობენ და აგრეთვე შემოსავლიდამ საჯრებლის ალება მეტად დიდი საჯრია, დაწესდა მოლოდ რომ კენსების განსრევის დროს სატრონებმა წამოადგინონ საჭირო მუშეთათვისანთ საჯრით და უსასყიდლოდ მისცენ საზოგადოების წევრებს ბინა, როგორც ეს დაწესებულია მიწების გაზომვის დროს. შეიძლება. ხატისოვმა ახსნა, თუ სხვა სახელმწიფოებში როგორ ჰყოფენ ერთმანეთს შორის საზოგადოება და საზინა ფილოქსერასთან ბრძოლის დროს საჭირო საჯრებს. ჩამოვიტოს სხვა-და-სხვა კვარი წესდება ამ საგნის შესახებ უცხო სასემიფოებში და დასძინა, რომ ჩვენში დღემდე ყოველ ნაირს საჯრს ამ საგნისათვის საზინა კისრულადაც და ამ სუთი წლის განმავლობაში 500,000 მან. დასარჯაო. ვინც დაჭკობრება ფილოქსერასთან ბრძოლის მსგეულობას ჩვენში, დარწმუნდება, რომ ყოველწლიური განსავალი ამ საქმისთვის 100,000 მანათს არც მომავალში ადემატება და ფილოქსერის მოსახობისათვის 5—6 წელს მეტი დრო არ დაგვჭირდება. ხატისოვმა სთქვა, რომ კავკასიაში ირიცხება 130,000 დესიატინა კენსი, რომლის შემეტსი ნაწილი ეგუთვნის თავდაზნაურობას, თავისუფალს ყოველ-ნაირის განსასადისაგან; ამიტომ სამართლიანი იქმნება, რომ მათს კენსებს დაეღვას განსაკუთრებული გადასასადი, და რაც შეელება გლეხებისას — მათ გადასადონ მუშაობით (натуральная повинность); რადგანაც აქ კენსებს უჭირავთ 130,000 დესიატინა მიწა და წლიური საჯრი კი ფილოქსერასთან ბრძოლისათვის 100,000 მეტი არ არის, ამიტომ თვითოულ დესიატინას 80 კან. მეტი გადასასადი არ შესვდება, და ეს თავდაზნაურთათვის სამძიმო ტვირთი არ იქნება. დასასრულ ბ. ხატისოვმა კრებას წარუდგინა განსასჯელად სუთი წინადადება:

ბ) არა სჯობს რომ თავდაზნაურთა კენსებს ფულის გადასასადი დაეღოს და გლეხებმა კი, ამ გადასასადის მაგივრად, კენსების განსრევის დროს დაივალონ მუშაობა? — კრების შემეტსმა წევრებმა წამოთქვეს, რომ მუშა დღე გლეხებისათვის სშირად, და მეტადვე ზაფხულში, 2 მან. მეტი დიროს, და ამიტომ ეს წინადადება სსსტუმრებმა არ მიიღო. ბატ. სულთანის ყირიმ-გირეის წინადადებას თავს მჯდომარეებაც დასძინა, რომ უმჯობესი იქმნება — სრულიად განთავისუფლდენ გლეხები ამ გადასასადისაგან, რადგანაც მათი კენსები მეტად მცირეა არიან და ამისთანავე მათ სხვაც ბევრი რამ გადასასადი აწვეთ კისერსო. გარდა ორის წევრისა მთელი კრება დასთანხმდა ამ წინადადებას.

გ) მესამე წინადადება — რომ გადასასადი დაიღოს იმ კენსსუდაც, რომელიც ერთ დესეტინას ცოტათი მეტია — კრებამ მიიღო.

დ) რამდენი და რა რიგად უნდა გაიწეროს გადასასადი — შემოსავლის კვალლობაზე, თუ მიწის ზომისა? — ზოგი ამბობდა, რომ ბევრჯან მეტად მცირე შემოსავალი აქვს ღვინოსათ; ამასუ ბ. სულთან-ყირიმ-გირეიმ სთქვა, რომ ყირიმში, კენსები სამ-რიგად იყოფებო: შემეტსი შემოსავალი თვითოულ დესიატინიდა შეადგენს 75 მან., საშუალო — 50 მან. და უმცირესი — 25 მან., გადასასადი კი ამ რიგდაც გაწერილია: ოცნასთა სამინისტროს განკარგულებით რომელიმე გუბერნიას გადასასადად შეწერილი აქვს განომილი ჯამი ფულისა; ამ ფულს საერა კრება ანაწილებს მანრებზე, მათის კენსების მდგომარეობის შედარებით, და სამაზრო კრება-კი გაიყოფს ერთმანეთში მიწის შემოსავლის შედარებით. — კრებამ სურვილი გამოცხადდა, რომ აქაც ამ ნაირი დაწესებულება მოსდესო.

ე) დაიღოს გადასასადი ღვინოსუდაც თუ არა? კრებამ ერთხმად უარი სთქვა ამ წინადადებაზედ.

დასასრულ ბასი ჩამოვარდა იმასუდ, რომ შეიძლება თუ არა ფილოქსერის ადგილებზე, სადაც კენსი აუთსრიათ,



სხვა რამ დაითესოს. ბევრი იმ აზრისა იყო, რომ შეიძლება მოყვანა ამ ადგილებზე მსოფლიო ისეთი მცენარისა, რომელიც არ დაუშლის საფილოქსორო კომისიის წევრებს ხელ-ახლად გასინჯვას იმ ადგილებისას.

გვრას განდა მცენარეულ საუკუნეებს ასევე ჩვეულებებთან. ამ დღეებში გარის მარის ასეთის სოფ. სიათაში განდევნილია ერთი დანიშნული „ქიზა“. ასი წყვილი მარტო წინდა დაქსოვას ამ ქიზას თავის ქმრის სოფლებებისათვის დასარბებლად და სამხითვორ ქიზას. მაგრამ აგერ სულთა-მსუთავის ცუდმა გამოჭკრა მომავალს მატარებლს და უდროვად გამოასაღმა წუთი სოფელს. მამის ქალის მატარებელს გაკეთებინათ ორი გუბო: ერთში ჩაკეცილებინათ ქალი, მეორეში—ასი წყვილი წინდა და სამხითვორ ჩაკეცილ და მიწაში ჩაკეცილათ.

ქართლადამ გვატყობინებენ, რომ თუმცა მოსავალს კაი ბირი უჩანს, მაგრამ გვალვა ძალიან გავსინებს. უწვიმობას ისე შეუწუხებია ხალხი, რომ ბევრგან „დიდებანდ“ დადიან წვიმის გამოკითხვად. ხილსაც თურმე ძალიან ასწია.

გასეთიადამ გვწერენ: „გელის-ცისეში მომავალ ენკინისთვიად ერთ-გლასიანი სასოფლო სასწავლებელი უნდა ორ გლასიან სასწავლებლად გადაკეთდეს. ამისთვის საჭირო შენობის აშენება გიდევ დანიშნულს. სასურველია, რომ ამ სასწავლებელთან დაარსდეს რაიმე სასოფლო-სა-სამეურნეო განყოფილება, რადგან მთელ გასეთში არ არსებობს არც სამეურნეო და არც სასოფლო-სა-სამეურნეო სასწავლებელი, ორ-გლასიან სასწავლებელთან ერთად ეს საჭირო საკმარად შეიძირდება“.

„უარის“ მე 17 №-ში წავიკითხეთ: „ჩვენ გავიგანეთ, რომ შაბათს (აბრევილი 28 ს) სტამბოლიადმ არსებულს უნდა მოვიდნენ მუშინი მუსთარ-ფაშა ის-მაილ-ფაშასთან ერთად. ესმელელი ელჩი (უარსში) დანიელ-ბეი, როგორც ამბობენ, ამ დღეებში წავა არსებულს მუსთარ-ფაშის სასწავლად.

ფათისა და ბათუმის შორის და-ღუბულა ერთი საბარგო გემი (როგორც „სუბსტ. ფურც.“ იწერება), რომელიც ნამდვილად არ იცინა რუსის საზოგადოებას ეკუთვნის, თუ ბ-ის ნოვოსილსკის.

„Новое Время“ იწერება, რომ მოკლეს ხანში შეიკვლეს ბაჟის წეს-დება ხილისა და ჭაჭის არეის წარმოებაზე.

110 მანათილი—რომელსაც, უკველია, მოთავე ამ ბაღის თავის წესით წარუდგენს საზოგადოებას.

გემოსსეუბელ ბაღში დასწრებულ საზოგადოების სიმდიერე მეტად შესამჩნევი იყო და ამასთანავე გულ-გრილობაც ეტყობოდათ ზოგიერთა მიხედვების გამო სასწავლებლის მმართველ პირთა...

ამბობენ აგრეთვე, რომ ვითომ კნ. ან. ჭავჭავაძისას, რომელიც ამ სასწავლებლის მმართველად ითვლებოდა და რომელსაც სასწავლებლის ბუღი და ილბალი იყო დამოკიდებული, ამ სასწავლებელზედ მმართველობისათვის თავი დაუსებია...

რაც საკუთრებას დიდი მატარებელმა აქვს ხალხში, იმდენად ის ხალხი მოქალაქეობრივად განწყობილია. საკუთრების მატარებელმა ამ ორს ზღვას შუა მცხოვრებელ ხეებს ხალხში იქამდის გავრცელებული და ეველსაგან აღიარებული არის, რომ საკუთრების დაცვისთვის მისკველი—უდიდეს მისკველად მიანდათ და მიანდათ. ამისთანა გაცემილ ჭეშმარიტებაზედ ღაზარაკი მეტი მგონია და აქ მოვიგონე ეს მსოფლიო მისთვის, რომ ერთი არა სასიამოვნო მოგვინა აღვნიშნა:—სულ ორი კვირის წინედ ერთს თელავის მარის სოფელში მოხრ-მანდა ერთი დიდი მოსულე და მოასდი-ნა განკარგულება, დაუკითხავად მეტატ-რობებისა, სხვის საკუთრების მოხმარებისა.. ერთმა მესაკუთრეთაგანმა პირ-და-პირ მიმართა მას და უთხრა:

— მე საკუთრების დაცვისათვის სისხლს დავუვრი—გთხოვთ აგვანდინოთ ამისთანა განსაცდელი!..

ამაზედ უპასუხა მოხელემ:—შენ არ იცი, ვის ეღაზარაკები?—მაგისთანა გამო-ბუღაობისათვის ვირის აბანოში ამოგა-ყოფინებ თავს და იმ დასწინაც ჩაკრიც-სავ, რომელსაც უფლება აღარა აქვს აქ ხანი დაქუცოს!..

ნუ თუ იმისთანა პირისაგან, რომლის უმთავრესი დანიშნულება საკუთრების და მოქალაქეობრივი წესის დაცვაა, ამისთან-ებები უნდა ესმოდეს ხალხს?!..

აქ გავრცელდა სმა, რომ თელავის მომრიგებელი შუამავალი სამსახურიდან გამოდის. ამ სმამ ბევრი ძლიერ შეაწუხა და მომეტებულად დროებითი კადავრული გელსობა, რომელიც მას თავის დამცველს ეპასოდა. სშირად მეტატ-რობეთა და ნაყმეთ შორის არის მცირე რამ დამოკიდებულება, როგორც სასლის-ქიჩა, მეათსედი და სხვანი. პირ-ველი გარდასასადი მომეტებელი ნაწილი შვიდი შაურიდან ექვს აბანადის არის. სშირად მეტატ-რობე ამისთანა მცირე გა-დასასადისათვის ჩივის მომრიგებელ შუამავალთან და, აი, ამისთანაში მართლაც რომ გელსების მცველია. თ. დ. ჯორ-ჯაძე. იგი არ დაიბარებს სოფელ გელსს საქმის დღეს, მისცემს ვადას, გადასადოს მეტატ-რობის ვადას, არ ჩაუყენებს ჩივარს, როგორც სშირად თხოვლობენ. თუ გა-მართლდა თ. ჯორჯაძის სამსახურიდან გასვლის, ამავი დიდი დასავლისი იქნება.

აბრევილი 16-ს თელავის საზოგადო-ებამ გაუმართა გამოთხოვის სადილი თელავის მარისში ნამყოფს გამოძიე-

ბელს. თ. ა. ქაჩაძეს; საზოგადოებას ბლომად დაესწრო: იქ სასწავლო ქართვ-ლებს, რუსებს, სომხებს, და სხვა-და-სხვა წრის და წოდების ხალხს.

მხელად შეხვება კაცი ასეთს ტკბილ მამა-შვილურ გამოთხოვას, როგორც აქაური საზოგადოება გამოთხოვას მატარებელს ალ. ქაჩაძეს. მატარებელი და დიდება იმ პირთ, რომელნიც თავის ხალხთან ასე მოკლე სამსახურის (სულ ორი წელიწადი იმსახურა აქ) განმავლობაში ასეთს თანაგრძობას დაიმსახურებს საკ-რთოდ საზოგადოებისაგან.

სადილს ამკობდა: საზოგადოების საერთო აღტაცებული მხარელება, მშვენიერი „სუფრული“ და სხვა ქართული სიმღერები, ტკბილი ღვინო და ფხ-მარდი ლეკური.

ღირსეული შვილი ღირსეულის თანა-გრძობით გააწილა საზოგადოებამ.

აბრევილი 22-ს მოვიდა ჩვენი ქართვ-ლი მიღიცი თელავში. მიღიციის მდა-ბალ ხარისხის პირებს გაუმართა ქალაქ-მა სადილი თელავის სკანარში (ბულ-ვარში), სოფო მაღალი ხარისხისაანი იყვნენ მიწოდებული საზოგადოებისაგან სადილზედ თელავის გლეხის დარბაზში. სასამდის მდაბლებმა სადილი არ გაათ-ვეს, თავზედ ადგნენ როგორც თავიან-თი უფროსები, აგრეთვე აქაური მარის უფროსი და გაწემა უთავლავი ხალხი. როდესაც მაღიციის სადღეგრძელო იყო, მარის უფროსმა აიღო ღვინით სავსე ჭიქა, წარმოთქვა სიტყვა და ასე და-ბოლოვდა: „თქვენ მიდისართ, მშობო, ავ-დანისტანში, მაგრამ ჯერ არ ვიცით გა-დაწვევით, თუ რად მიდისართ. ღმერ-თმა რომ იხებოს და ომი მოხდეს, როგორც დასაბამიდან-ყოფილა საქარ-თველო სასელ-განთქმული თავის გმი-რობით, იმედი გვაქვს, რომ ამ სასელს დღესაც არ დაუგარგავთ თქვენს სამშობ-ლო ქვეყნას“.

მეთვალყურე.

დავა შუა აზიაში

სტივენს მოუთმენელად მიე-ლიან ლონდონში, ზაკრევესკი-კი ჩა-სულა კიდევ პეტერბურგში და, რო-გორც „Гражданин“-ი იწერება დაუ-ყოვნებლივ წავა ბაჩინოშიო. ზაკრ-ევესკის უთქვამს, რომ გენ. კომარო-ვის მოქმედება ნამდვილად ავლანელთ თავ-გასულობას შედეგი იყო, რომ-მელთაც ინგლისელი აფიცრები აქვებ-დნო. შეტაკებაში ჩვენის მხრით 1,500 კაცი იყო და ავლანელების მხრით-კი 5,000. ავლანელი ჯარი ცუ-დად არის შეიარაღებულიო, მაგრამ მათი არტილერია-კი შესანიშნავად მოქმედებდაო. პენჯდეს მარის მცხოვ-რებნი შეგობრულის თვლით გვიუ-რებენ ჩვენო.

ინგლისის პარლამენტში და სა-ზოგადოებათა პალატებში გაცხარე-ბული სხდომები ზედი-ზედ მიჰყვებიან. საგანი ბასისა, რასაკვირველია, სულ იგივე „ავღანას საქმეა“. უკანასკნელს

სხდომებზე განსაკუთრებულ ყურადღე-ლება მიჰყოფილი სერ ჰენრი მუს-დენის და სხვა ინგლისის აფიცრების ბრალდებაზე—რომ, ვითომ, ესენი აქვებდნენ ავლანელებსაო...

სტანგოპი. (პარლამენტის სხდომაზე ეკითხება ბლადსტონს) შეიძლება შეგ-ვატყობინოთ, საილამ გამოვიდა სტი-ვენი—მესხელიდამ (სპარსეთში) თუ სერ-პეტერ-ლემსდენის უმთავრეს სადღუ-რილამ? (თირპულში—ავღანის ქალა-ქია).

გლადსტონი. მე არ შემიძლიან გი-ვასუხოთ მთავრად. არ ვიცი დაბეჯი-თებით, სად იმყოფებოდა სტივენნი, როდესაც გამოხმობის დეპუტა გავუგ-ზავნეთ.

სერ-სტაფორდ-ნორდსკოტი. როდის-თვის უნდა მოველოდეთ ლონდონში სტივენს?

გლადსტონი. არ ვიცი; მაგრამ ამას გავიგებ.

ჩიხი. მთავრობას ხომ არა მსურს გადსადეს დიპლომატიური მოლაპა-რაკება, რუსეთთან სანამ სტივენნი არ მოსულა.

გლადსტონი. არა.

სერ-ნორდსკოტი. ნება მიბოძეთ, გკითხოთ,—ახალი ამბავი ხომ არა მოსულა-რა ავღანელებს.

გლადსტონი. არა; მე არ გამოვიცნა, რომ ახალი რამ მოსულიყო.

სულ ამ გვარია ვასუხები ინგლი-სის პირველის მინისტრისა: არ ვიცი, არა, არ გამოვიცნა. პარლამენტის წევრნი ძლიერ ექვით უყურებენ ამ ყველაფ-რის „უარ-ყოფას“ ბლადსტონისაგან, ექვობენ, რომ პრემიერი ბევრს რასმე გვიმალავს ჩვენაო და ამიტომაც უკა-ნასკნელს სხდომებზე ზოგიერთა წევ-რებმა არა ერთი და ორი უკადრისი სიტყვები დაახალეს ბლადსტონს. უკა-ნასკნელი კი, როგორც ჭეშმარიტი ინგლისელი, დინჯად სდგას თვის აღ-გილზე, ხშირად ჯიუტობს კიდევ. მაგრამ ენლა ისეთი დროა, იმდენად აღელვებულია ყოველი ინგლისელი, რომ ამ გვარი მოქმედება არად არ-გებს ბლადსტონის სამინისტროს; იქ-ნება სამინისტროს დაცემაც გამოიწ-ვიოს პირველი მინისტრის ასეთმა მოქმედებამ.

სტამბოლიდამ სწერენ „Journal des Debats“ ამ დღეებში ხონთქარმა გაუგზავნა ბრძანება ჰასან-შემი-ფაშას დაუყოვნებლივ გამოვიდეს ლონდონად, მაგ-რამ ჰასან-ფაშამ აუხსნაო ხონთქარს, თუ რა შთაბეჭდილებას იქონიებდა მისი ასე უეცარი დაგდება ლონდონ-სა, და ხონთქარმა გადასთქვა თვისი ბრძანებაო. ამავე ვაზეთს აცნობებენ, რომ მსმალეთის მმართველობისაგან გაგზავნილი კომისია ღარდნელის გამაგრებისათვის ზომების აღმოსაჩე-ნად დაბრუნდაო სტამბოლს. კომი-სიამ წარუდგინა თვის აზრი მმართვე-ლობას და, როგორც გვარწმუნებენ, ამ დღეებში რამდენიმე ოსმალოს სა-

„დროების“ კორექცია

თელავი, აბრევილი 14-ს. თელავის წმ. ნ. სასწავლებლის სასარგებლოდ იყო გამარ-თული ბაღი ბუფეტით საზოგადო კლუ-ბის დარბაზში. სარჯს გარეშე წმინდა შემოსავალი, როგორც შევიტყუთ, ყო-

ომარი ხომალდი გაიგზავნა ღარდა-ნელში.

◆◆ ლონდონელი გაზეთი „Echo“ იწერება, რომ ინგლისისა და მსმალოს შუა უკვე მოხდა საიდუმლო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ინგლისს ნება ექმნება დაიკიროს სტამბოლი და საომარი გემები გაგზავნოს ღარდანელში.

◆◆ მსპანიური გაზეთი „Cronica d' Almeria“ იწერება, რომ რუსის საომარს გემს (კორვეტი) შეხვდა შუა ზღვაში ინგლისის ფრეგატი, რომელიც შუა იყო ომი გაემართა რუსის გემისათვის.

◆◆ ნემეტურს გაზეთს Neues Wiener Tageblatt-ს სწერენ ლონდონიდან: „სამხედრო მზადება კვლავინდებურის გაცხარებით მიდის. ზღვის სამინისტრომ დაიკირავე დღეს (აპრილის 21-ს) ცხრა სატრანსპორტო გემი. ბირსმა განუცხადა ინგლისის ელჩს სურვილი, რომ ინდოეთის ჯარი შეჩერებული იყოს, აღარ წავიდეს ძვეთისაკენ.

ტელეგრაფები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“
აპრილის 30-ს

ამბარბურში. დღეს გამოცხადებულმა დაწვრილებით ტექსტმა გვ. კომარაგის რაზმარტისამ, მარტის 18-ს მომხდარს შემთხვევას, დაბოლოებით აღსნა, რომ ჩვენა რაზმი იძულებული იყო იერძით მასუღაიყა ავღანელებზე, ამათის თავსეღურის მოქმედებისა და თავ-დაცვის განსრუხვისათვის.

ბერლინი. გრაფ გერბერტ ბენმარკი დანიშნულად გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწედ.

რეისსტაგმა საბოლოოდ გადასწვიტა ბაჟი (სამი მარკა) შერასას და ხარბაღზე.

ლონდონი. ნორდსკოტის წინადადება, რომ მმართველობამ აღსნას რისთვის არის საჭირო სამხედრო კრედიტი (11 მილ. გირგ. სტერ.), სასოგადოებათა პალატაში უარ-ქვევს 290 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 260-ისა და კრედიტის გადასწვიტა შედარედ მოხსენებით.

გლადსტონმა განაცხადა, რომ დიპლომატიური მიწერ-მოწერა, რომელიც კვირის გასულს მიენდობა შარლამენტს, ახდის მმართველობას ბრადებს, რომ მან კათომ რუსეთს დაუთმო ვეგლათფერშია.

სასოგადოებათა პალატაში გლადსტონმა დაიარა, — მას იმედი აქვს, რომ ავღანის სასფერის საქმე მორიგებით გთავდას და რუსეთისგანაც არაფითარი დაბრკოლება არ იქმნება, მაგრამ სასურველია, რომ შირობა ხელ-მოწერილი იქმნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სასფერო გაყვანილი იქმნება ადგილობრივ.

გარტინგტონმა განაცხადა, რომ ხართუმისაკენ გალაშქრება შეჩერდა; ჯარები სუდანში ვიდრე დონგოლამდე აღარ იქმნებიან დაბანაკებულნი; სუკამში ინგლისელი ჯარები დაჩეხიან მანამდის, სანამ სსგას სასელმწიფოს ჯარები დაიჭერენ ამ ქვეყანას.

სიმლა. პოლკოვნიკი სტაუარტი და ერთიკ ვადე ბრიტანელი აფიცერი გაემტავრენ ჰერათში, რომ დაეხმონ ემირს ქალაქის გამაგრებაში.

ბირჟა

პეტერბურგი აპრილის 30.

100 მანათის კურსი სამის	ოვით ღონდონზე — 24 ⁵ / ₁₆ , 24 ⁷ / ₁₆ 24 ³ / ₈
100 მანათის კურსი სამის	ოვით ჰამბურგზე — 206 ³ / ₄ , 207 ³ / ₄ , 207 ¹ / ₄
100 მან. კურსი სამის	ოვით პარიზე — 256 ³ / ₄ , 257 ¹ / ₂
პოლიმპერიადობი	— 8 მ. 11 გ. გაუ.
ტამოუნის კუპონები	— 8 მ. 12 გ. გაუ.
ვენლის მანათი	— 1 მ. 30 გ. გაუ.
ბირჟის დისკონტი	— 6 და 7 ⁰ / ₁₀
5 ⁰ / ₁₀ ბილეტები აღმოსავლეთის სესხისა	100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — 96 მ. გაუ.
მეორე გამოცემისა	— 95 ¹ / ₂ მ. გაუ.
მესამე გამოცემისა	— 95 ¹ / ₂ მ. გაუ.
5 ⁰ / ₁₀ მომგები ბილეტები	I შინაგანის სესხისა — 219 ¹ / ₂ მ. გაუ.
5 ⁰ / ₁₀ მომგები ბილეტები	II შინაგანის სესხისა — 207 მ. გაუ.
ოქროს რენტა	— — — 168 ¹ / ₄ მ. გაუ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ.	ფურცლები — — —
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც.

ცნობანი

გაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 მაისიდან 15 მაისამდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა	— 1 გირ. 5 გ.
აქაურის ფქვილისა: პირველის სარისისა	— 1 გ. 2 ¹ / ₂
მეორისა	— 1 გ. 2 გ.

იმევე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:

პირველი სარისისა	— 1 გ. 4 ¹ / ₂
მეორისა	— — — 1 გ. 3 გ.
მესამისა	— — — 1 გ. 2 ¹ / ₂

ჯვარის-მამის პური:

პირველის სარის. ლავაში 1 გ.	4 ¹ / ₂
მეორის სარის. ლავაში 1 გ.	3 ¹ / ₂
მესამისა — — — 1 გ.	3 გ.

მროსის სორცი:

პირველის სარისისა	— 1 გ. 8 გ.
მეორისა — — — 1 გ.	7 გ.
სუვი — — — 1 გ.	15 გ.
ცხვრის სორცი — — 1 გ.	9 გ.

ღორის სორცი:

პირველის სარისისა	— 1 გ.
მეორისა — — — 1 — გ.	

რკინის ზნა

თბილისიდან ბათუმისკენ მიდის 8 საათზე და 31 წამ. დილით.

თბილისიდან მარტო საშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზე და 45 წამზე დილით. (სამშაბათობით და შაბათობითსაჩქარო 10 ს. 58 წ. ღამით.)

ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათზე და 25 წამ. შუადღის უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზე და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდან და ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზე და 25 წამ. ღამით.

მარტო საშურიდან მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზე და დილით.

ბაქოდან მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და შარსკვერბით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

განცხადებანი მსურს

გამგებლობა მამულისა

ყუიდი

პარგს ცხენებს დროგებით. აღრესი ქუთაი, ალექსანდრეს ქუჩა, № 72. (4—3)

თბილისის სასულიერო სასწავლებლის მმართველობა ამით აცხადებს, რომ ამა მაისის 5 და 6 დღი-


თბილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა წლის მაისის 7, შუადღის 12 საათზე, ზამგეობის სადგურში მოხდება ვაჭრობა იჯარით გაცემაზე მიწის, ქვის და შტუკატურის მუშაობის შესასრულებლად საქალაქო სახლზე (აღრე ში-ოვეის). სახლი, არაშოქისათვის დანიშნული, გოლოვინის პროსპექტ-ზეა. მსურველთა ყოველგვარი პირობანი შეუძლიანთ გაიგონ გამგეობაში დილის 10 ნაშუადღევის 2 საათამდე ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა. (3—1)

სით საათის 12-ზე სასწავლებლის ეზოში მოხდება ვაჭრობა სხვა-და-სხვა ნივთებისა. ქუთაი, ალექსანდრეს ქუჩა, № 26. (2—2)

ყუა მოკვო
ს. სიუ და ძო.
(II. 2592).
(46—12)

ინგლისური რკინის კარბაზი



ერთის საწოლი 6 მანათიდას, და ორის საწოლი 10 მანათიდას; მათი ლეიბები, ზღვის პალსით გატენილი 4-დას 8 მანათამდის. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25% -თ უფრო იაფად, ვიდრე სსგას სადმე: ბრიტანის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საგარაქე, საშაქრე, კოვჩები, შეფიადის დასები ჩანგლებით, სამართებლები, დასადგმული პირის სახანი, სტაქსები, სუფეგნიკი, საწაო, რიუქები, საქაშური, თუფები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, საშაქრეები, სამარილები, გარნიცის საფეკები, პრობკის ამოსადები, პრობკები, კლიტები, გასადები, კრანტები, ადვირები, სლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, სახალა მარატლები, გაქაუბი, უთაები, წისქვილები, სერსები, ქლიბები, ინგლისის თაფები და რეკალეკრები, პიუები, ზარიადები, კაშსიულები, საფანგები, ნინბები, გატერპრუტი, სახნები, ჩუქები, წინდები, სუფრები, სადფეტები, რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კაშფეტები, კაშულები, სოუსები, ზღვის პალსის, დიმიკიტონები, ზომასუი და სსგ. ინგლისურს მალაზიებში არწრუნისეულს ქარგასლასში № № 95, 94, 93, 91, და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უადესი ჩაის მალაზია თბილისში. (100—23)

ქუთაისში,

ივანე ნიკოლაძის მამკვიდრეთა მალაზიაში ისყიდება ყოველ გვარი საქალაქი, სხვებთან შედარებით იაფად. მალაზია იმყოფება ბულვარის პირდა-პირ საკუთარ შენობაში. (14—12)